საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

92417-09-02-2-201706221631

N 09-02/92417
22/06/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ქვეყანაში არსებული ფისკალური რისკების შეფასების გაძლიერების მიზნით აგრძელებს მუშაობას სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოებიდან გამომდინარე პოტენციური რისკების შეფასების მიმართულებით.

ამ მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა ერთიანი, დაზუსტებული და სრულყოფილი ბაზის შექმნა, აღნიშნულ საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების და პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მათი ანალიზი ფისკალური რისკების შეფასების კუთხით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია:

- თქვენი უწყების მართვაში არსებული სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების და მათ მიერ დაფუძნებულ საწარმოთა შესახებ(დანართი 1).
- ამ საწარმოთა 2011-2016 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, შესაბამისი წლების აუდიტორულ დასკვნებთან ერთად (თანდართული ბალანსის, მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის სახით).
- ამ საწარმოთა პირობითი ვალდებულებების თაობაზე (საწარმოს პირობითი ვალდებულებების თანდართული კითხვარის მიხედვით).

ამასთანავე, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი უწყების მართვაში მოქმედი საწარმოს ფინანსური ანალიზი და ზარალის შემთხვევაში ინფორმაცია საწარმოს ზარალის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ამავე დროს მნიშვნელოვანია საწარმოს წინაშე როგორც მიმდინარე პერიოდში არსებული, ისე მოსალოდნელი რისკების იდენტიფიკაცია კონკრეტული საწარმოსა და პროექტის მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია პირობითი ვალდებულებების თაობაზე წარმოდგენილ ინფორმაციაში მოხდეს ამ პირობითი ვალდებულებების შეფასება.

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

აქვე ავღნიშნავთ, რომ ცალკეული საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა გაჩნდეს კითხვები კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემდეგ თანამშრომლებს:

მარინე ყანჩაველი (ტ. 2261339; ელ. ფოსტა m.kanchaveli@mof.ge)
მაია ლავრინენკო (ტ. 2261353; ელ.ფოსტა m.lavrinenko@mof.ge)
ირინა მარუაშვილი (ტ. 2261378; ელ. ფოსტა i.maruashvili@mof.ge)

დანართი: 13 ფურცელი

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე